## საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**

1. ამნისტიის კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კანონის ძალაში შესვლამდე, ე.ი. 1990 წლის 22 ნოემბრის 20.00 საათამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის შესრულება დაეკისროთ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს;

- მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან - შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით.

- იმ პირთა მიმართ, რომელთაც პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან პირობით არიან გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით - სპეცკომენდანტურის უფროსის დადგენილებით;

- იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და არ არიან დაპატიმრებული ან პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და არ არიან გაგზავნილი სამუშაო ადგილას, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან გადასახლების, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით - შინაგან საქმეთა რაიონული (ქალაქის) განყოფილების (სამმართველოს) უფროსის დადგენილებით;

ბ) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს:

- იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები ამ ორგანოების წარმოებაშია;

გ) სასამართლოებს:

- იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართლოების წარმოებაშია და კანონის ძალაში შესვლის დროისათვის არ არის განხილული, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა;

- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად პირობით მსჯავრდებულთა და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ ამავე კოდექსის 471 მუხლით გათვალისწინებული წესით;

- მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ძირითად სასაჯელად მისჯილი აქვთ ჯარიმა, თუ კანონის ძალაში შესვლამდე ჯარიმა გადახდევინებული არ არის, ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა;

- სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვთ უფრო მსუბუქი სასჯელით კანონის ძალაში შესვლამდე ამნისტიის გამო.

საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელის შეცვლის შესახებ.

3. მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ამნისტიის შეფარდების საკითხს წყვეტენ განაჩენის დამდგენი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებით.

4. შინაგან საქმეთა ორგანოების, აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ ამტკიცებს პროკურორი.

საასმართლოების მიერ ამნისტიის კანონის შეფარდების დროს პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

5. განიმარტოს, რომ ამნისტიის გამოყენების დროს:

ა) ამნისტიის კანონის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მუხლების მოქმედება ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და 471 მუხლების გამოყენებით მსჯავრდებულ პირებზე, აგრეთვე მათზე, ვისაც პირობით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან პირობით არიან გათავისუფლებული შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ბ) კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება მამაკაცებზე, რომლებიც 60 წლის ასაკს მიაღწევენ კანონის შესრულების პერიოდში;

გ) კანონის პირველი მუხლის „გ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით მიჩნეულ იყვნენ ინვალიდებად კანონის ძალაში შესვლამდე, აგრეთვე მათზე, რომელთა კანონის ძალაში შესვლის დროისათვის ინვალიდობის ფაქტი დადასტურდება კანონის შესრულების პერიოდში;

დ) კანონის მე-3 მუხლი ვრცელდება იმ მსჯავრდებულებზე, რომლებმაც რეალურად მოიხადეს სასჯელის ნახევარი ამნისტიის შეფარდების დროისათვის;

ე) კანონის მე-4 მუხლის მოქმედება ვრცელდება მსჯავრდებულებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანობის პერიოდში.

არასრულწლოვან ქალებზე ვრცელდება კანონის პირველი მუხლის „ა“ პუნქტი.

ვ) კანონის მე-6 და მე-9 მუხლების საფუძველზე უნდა შემცირდეს კანონის ძალაში შესვლის დროისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

ზ) კანონის მე-8 მუხლის „ა“ ჩამონათვალში სიტყვები „სსკ 245-ე მუხლის მე-2 ნაწილი“ უნდა იკითხებოდეს „სსკ 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი“.

6. თავისუფლების აღკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდა, ძირითად სასჯელად შეფარდებული გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის და-

კავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეწყდება შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ ამნისტიის შეფარდების თაობაზე პროკურორის მიერ დამტკიცებული დადგენილების გამოტანის დღიდან.

7. შეწყდეს იმ დანაშაულობათა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, თუ პირს, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე, მანამდე არ მოუხდია სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებაში. ასევე შეწყდეს საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმეები კანონის მე-4 მუხლში აღნიშნული პირების მიმართ.

8. ამნისტიის კანონის გამოყენების დროს მხედველობა-ში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებული ან მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.

ასევე არ მიიღება მხედველობაში იმ პირთა ნასამართლობა, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის ან მსჯავრდებული იყვნენ განზრას დანაშაულისათვის და შეფარდათ სასაჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

9. იმ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენებისას, რომელთაც სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელის ვადა უკვე შეუქცირდათ შეწყალების ან ამნისტიის წესით და არ ჩაუდენიათ ახალი განზრახი დანაშაული, ამნისტიის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება სასჯელის ის ვადა, რომელიც ამაქტებით იქნა საბოლოოდ განზრახული.

10. დანაშაულის ერთობლიობისას ამნისტიის შეფარდების საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული დანაშაულის მიმართ ცალ-ცალკე.

11. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველყონ კონტროლი ამნისტიი-

ის კანონის შესრულებისადმი.

12. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ უზრუნველყონა:

ა) ყველა იმ პირის დროული აღრიცხვის ორგანიზაცია, რომლებიც ამნისტიის კანონის საფუძველზე დაბრუნდნენ სასჯელის მოხდის ადგილებიდან, მათი შრომითი მოწყობა არა უგვიანეს 15-დღიანი ვადისა საცხოვრებელ ადგილზე ჩამოსვლიდან;

ბ) ინვალიდთა სახლებში იმ გათავისუფლებული ინვალიდებისა და ხანდაზმულების მოთავსება, რომლებსაც არა ჰყავთ მარჩენალი.

გ) უზრუნველყონ ამნისტიის კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დროული აყვანა აღრიცხვაზე, შრომითი მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში ბავშვთა სახლებში, სასწავლებლებში მოთავსება.

13. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის შესრულებისათვის მუშობა დასრულდეს ექვსი თვის ვადაში მისი ძალაში შესვლიდან.

14. ამნისტიის გამოყენების თაობაზე საჩივრები და პროტესტები განიხილება კანონით დადგენილი წესით.

15. ზედამხედველობას ამ დადგენილების შესრულებისადმი ახორციელებენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი  
საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის გამოყენების წესის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 7 დეკემბერი. - №2. - 2 გვ.

**საქართველოს რესპუბლიკის სახალხო  
დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს,  
მრგვალი გაგიღის აღგილობრივ  
ორგანიზაციებს,  
დეპუტატთა რაიონულ კომისიებს**

როგორც რძის მრეწველობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება გვაუწყებს, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკას შეუმცირდა მშრალი რძის ფხვნილის მოწოდება, რის გამოც ქ. თბილისა და სამრეწველო ცენტრებში შეიქმნა მწვავე დეფიციტი მოსახლეობის რძის პრიდუქტების მომარავებაში.

ასეთი მწვავე დეფიციტი გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ რესპუბლიკის რაიონებში არ ასრულებენ მთავრობის დავალებას ნატურალური რძის ნედლეულის საწარმოებში ჩაბარების შესახებ. ამასთან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში შეიმჩნევა როგორც მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, ასევე საიჯარო ორგანიზაციების მიერ რძის რესურსების განიავებისა და ყოველგვარი განრიგის გარეშე პროდუქციის გაცემის ტენდენცია.

ყოველივე ეს შეიძლება ჩაითვალოს წინასწარგანზრახულ საბოტაფად ახალი პარლამენტისა და ხელისუფლების მიმართ, ხალხის ინეტერესების საზიანოდ.

მოვითხოვთ, ამ საქმეში სტაბილურობის მიღწევის მიზნით დეტალურად დაადგინოთ მეურნეობებში ნედლეული რესურსების რეალური რაოდენობა, მიიღოთ კონკრეტული ზომები მათი ჩაბარებისათვის და გვაცნობოთ იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებშიც გამოვლინდება რესურსების განიავების შემთხვევები.

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია**

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, მრგვალი მაგიდის ადგილობრივ ორგანიზაციებს, დეპუტატთა რაიონულ კომისიებს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 7 დეკემბერი. - №2. - 1 გვ.

## **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება**

### **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ზოგიერთ საპარტევნო ოლქი ხელახალი არჩევნების დანიშნვის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუ-  
ტატთა ხელახალი არჩევნების № 78 ლენტების, №80 აბაში-  
სა და №125 ახალგორის საარჩევნო ოლქებში დაინიშნოს  
1991 წლის 3 თებერვალს, ხოლო №108 ტყვარჩელის, №106  
გუდაუთის, №121 ცხინვალისა და №123 ჯავის საარჩევნო  
ოლქებში გადატანილ იქნეს 1991 წლის გაზაფხულისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

**დადგენილება :** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუ-  
ტატთა არჩევნების ზოგიერთ საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნების  
დანიშნვის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. -  
1990. - 12 დეკემბერი. - №5-6. - 4 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

**გ. დ. მგელაძის საქართველოს რესპუბლიკის  
მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის პირველი მოადგილის -  
საქართველოს რესპუბლიკის  
სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის  
თავმჯდომარის თანამდებობიდან  
განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენის:  
განთავისუფლდეს გურამ დავითის ძე მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

დადგენილება : გ. დ. მგელაძის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 12 დეკემბერი. - № 5-6. - 4 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე  
საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
პრეზიდიუმის დადგენილების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი  
საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგე-  
ნილება „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე  
საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ და ჩამოყალიბ-  
დეს იგი შემდეგი რედაქციით. (თან ერთვის)

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 13 დეკემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამსახურის

### დადგენილება

#### ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში ყოფილი სამსრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, და კერძოდ ქ. ცხინვალში, სეპარატისტული ძალების უკანონო დანაშაულებრივმა მოქმედებამ მიაღწია კულმინაციას, მოეწყო ანტიკონსტიტუციური არჩევნები, გამოცხადდა ე.წ. „სამსრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“, მოხდა ხელისუფლების უზურპაცია თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ, საფრთხე ემუქრება სამოქალაქო მშვიდობას, სჩადან ტერორისტულ აქტებს. დღეს ქ. ცხინვალის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის გამოყენებით მოკლულ იქნა სამი მოქალაქე, ხოლო სამი დაიჭრა.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწერივის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიზე, 1990 წლის 12 დეკემბრიდან. საგანგებო წესების მოქმედების ვადა განისაზღვროს ერთი თვით.

2. ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე და ჯავის რაიონში შემოღებულ იქნეს კომენდანტის საათი 1990 წლის 12 დეკემბრის 22 საათიდან. კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00 საათიდან 7.00 საათამდე.

3. ცხინვალის და ჯავის რაიონის კომენდანტს ნიშნავს

და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალები და ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. ისინი ხელმძღვანელობენ იმ კანონებითა და წესდებებით, რომლებიც არ ხელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, აგრეთვე ამ დადგენილებით.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამისისტროს შინაგან ჯარებსა და მათ რწმუნებულებს ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულ ტერიტორიაზე „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის შესაბამისად მიეცეთ უფლება გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებები:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ცხოველქმედებასა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირებას;

2) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

3) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გააძვონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

4) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებსა და ორგანიზაციებს - აგრეთვე სასწავლო

სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

5) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

6) შეიტანონ ცვლილება საწარმოო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

7) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

8) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის;

9) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

10) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

11) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებით და სპირტშემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

12) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

13) შეზღუდონ და აკრძალონ გასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენება. ჩამოართვან ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

14) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის გან-

საკუთრებული წესები;

15) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

16) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

17) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

18) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

6. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

7. პირი, რომლებიც ახდენენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პროვოცირებას, ავრცელებენ პროვოკაციულ სმებს, უშლიან ხელს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებების განხორციელებას, არღვევენ საგანგებო მდგომარეობის რეზიმს, შეიძლება და-კავებულ იქნენ ადმინისტრაციული წესით 30-მდე დღე-ლა-მის ვადით; ეს პირები შეიძლება მიცემულ იქნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში კანონის შესაბამისად.

8. ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად შემოღებულ იქნეს რკინიგზისა და სხვა კომუნიკაციების დაცვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთ სამინისტროს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთ სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალების გამოყენებით.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 12 დეკემბრის 220.00 საათიდან და მოქმედებს საგანგებო მდგომარე-

ობის გაუქმებამდე.

10. საგანგებო წესების გამოცხადება დაუყოვნებლივ ეცნობოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს და სსრ კავშირის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო წესების გამოცხადება აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და სთხოვოს მას, მოავლინოს საქართველოს რესპუბლიკაში თავისი მეთვალყურენი.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი  
თბილისი. 1990 წლის 12 დეკემბერი.

დადგენილება : ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 14 დეკემბერი. - №8 – 1 გვ.

## საუბარი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში

17 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია შეხვდა და ეს-აუბრა სსრ კავშირში ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებს საელჩოს მრჩევ-ლის მილან ტოკარის მეთაურობით. დელეგაციის შემად-გენლობაში იყვნენ აგრეთვე ამ საელჩოს პირველი და მესამე მდივნები ინჯიჳ პოკორნი და ოზეფ გრაბეცი.

გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი, რომ-ლის დროს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ სტუმრებს გააც-ნო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრება-ში უკანასკნელ ხანს მომხდარი რადიკალური ცვლილებები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის მიზნები და ამოცანები.

ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საელ-ჩოს წარმომადგენლებს ესაუბრნენ საქართველოს ახალი პარლამენტის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გად-აწყვეტილებების, რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის, მისი ეკონომიკის გაჯანსაღე-ბის, სოციალურ პრობლემათა გადაჭრის ღონისძიებებზე.

საუბრის დროს ყურადღება დაეთმო საქართველოს და ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების პერ-სპექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელო-ბა აქვს ორი ქვეყნის პარლამენტების პირდაპირი ურთიერ-თობის განმტკიცებასა და განვითარებას, ცხოვრების ყველა სფეროში ჩეხეთ-სლოვაკეთისა და საქართველოს ხალხების უშუალო კონტაქტების გაფართოებას.

სს „საქართველო“

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 18 დეკემბერი. - №11 – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებით რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„კანონებისა და სხვა აქტების პროექტთა შესწორებებს კენჭს უყრიან, როგორც წესი, მას შემდეგ, რაც მათ თაობაზე დასკვნას წარმოადგენს უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისია ან ერთობლივად რამდენიმე მუდმივი კომისია. იმ შემთხვევაში, თუ კანონის ან სხვა აქტის მიღება საჭიროა სხდომაზე, რომელზეც შემოთავაზებულ იქნა შესწორება, კენჭისყრა გაიმართება მხოლოდ უახლოესი შესვენების შემდეგ, რომლის დროსაც შესაბამისი მუდმივი კომისია მოამზადებს დასკვნას.

იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი არ დაეთანხმება კომისიის დასკვნას, მისი მოთხოვნით შემოთავაზებულ შესწორებას კენჭი უნდა უყარონ როგორც ალტერნატიულ წინადადებას.“

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 20 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებით რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 21 დეკემბერი. - № 13. - 1 გვ.

## **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
სამანდატო კომისიის  
საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს სამანდატო და  
სადეპუტატო ეთიკის  
მუდმივ კომისიად გარდაქმნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი  
საბჭოს სამანდატო კომისია საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდ-  
მივ კომისიად.

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 20 დეკემბერი.**

**დადგენილება :** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდა-  
ტო კომისიის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო  
და სადეპუტატო ეთიკის მუდმივ კომისიად გარდაქმნის შესახებ / გამსახ-  
ურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 21 დეკემბერი. - № 13.  
– 1 გვ.

## **შესვებრა უნგრეთის წარმომადგენლებთან**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია შესვდა უნგრეთის საგარეო ვაჭრობის საწარმოს წარმომადგენელს ანდორ პარკსა და უნგრეთის სავაჭრო წარმომადგენელს საქართველოში ეგონ ჩანაკა.

გაიმართა კონსტრუქციული საუბარი, რომელიც შეეხებოდა ორი ქვეყნის თანამშრომლობის პერსპექტივებს.

**სს „საქართველო“**

შესვებრა უნგრეთის წარმომადგენლებთან // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 25 დეკემბერი. - №16. - 1 გვ.

## ზვიად გამსახურდიას სიტყვა

### თაროვათებული 1989 წლის 25 დეკემბერს თბილისში გამართულ მითინგზე

ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ახალგაზრდებო!

მოგილოცავთ კომკავშირის რიგების დატოვებას. გი-სურვებთ 1990 წელს არ დარჩენილოყოს არც ერთი კომკავ-შირელი, პიონერი და ოქტომბრელთა ორგანიზაცია. ამაზე უკეთესი საახალწლო მილოცვა მე მგონი წარმოუდგენე-ლია, მეგობრებო. ამავე დროს მე მინდა მოგახსენოთ, რომ ეს უნდა იყოს სავსებით შეგნებული პოლიტიკური აქცია. ეს არ უნდა იყოს გამოწვეული ან გაღიზიანებით, ან მხოლოდ წყენის საფუძველზე და ყოველმა ოქვენგანმა უნდა იცოდეს, თუ რა არის კომკავშირი, რა არის კომუნისტური პარტია და რატომ უნდა დატოვოს ყოველმა ქართველმა პარტიულმა ეს ორგანიზაცია. ეს უნდა ჰქონდეს შეგნებული ყოვ-ელ ახალგაზრდას, რომელიც ტოვებს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ამ ორგანიზაციებს. რამდენი უბედ-ურება, რამდენი სისხლი, რამდენი ეროვნული კატასტროფა მოუტანა საქართველოს კომუნიზმა, მარქსიზმა და მისმა პირმშომ, კომკავშირმა - აი, მაშინ ექნება ფასი მანდატების დატოვებას. პარტიული თუ კომკავშირელი, მრავალი ადა-მიანი, მეგობრებო, თუ გამოდის პარტიიდან არა იმის გამო, რომ მან შეიგნო, თუ რა დამღუპველია ეს პარტია საქა-რთველოსათვის, არამედ იმის გამო, რომ მას აწყენინეს, მას არ მისცეს თანამდებობა, არ მისცეს ბინა, ის დაჩაგრეს რაღაც თვალსაზრისით - ამგვარი გამოსვლა პარტიიდან, კომკავშირიდან არავითარი პოლიტიკური აქცია არ არის. პოლიტიკური მიზნებით უნდა ხდებოდეს ეს და არა პირა-დი განაწყენების მიზეზით, მაშინ აქვს ამას ფასი. მე დარწ-მუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში, რამდენადაც მესმოდა მე ამ მოძრაობის შესახებ, ეს სწორედ პოლიტიკური მაღა-ლი შეგნების შედეგი არის და ამას მოგილოცავთ.

გისურვებთ, რომ ეს ყოფილიყოს პირველი ნაბიჯი თქვე-ნი ეროვნული მოძრაობის გზაზე, ეროვნული მოძრაობის

კონსოლიდაციის გზაზე. ეს დიდად სასიხარულო პროცესია, დიდად სასიხარულო ამბავია და უკეთესი რა უნდა გისურვოთ. 1990 წელს ყველანი შეეხვედროდეთ თავისუფალ საქართველოში.

მეგობრებო, ამავე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველი თქვენგანი, ვინც დღეს დასტოვა კომკავშირი, ვინც დღეს დასტოვებს პარტიას, ამავე დროს უნდა გადაიქცეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ მონაწილედ, ეროვნული საქმის აქტივისტ ეროვნულ მებრძოლად. მხოლოდ მაშინ აქვს ფასი ყოველივე ამას. როგორც იქსო ქრისტემ ბრძანა სახარებაში „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირე“, ე.ი. დიდია ეროვნული საქმე, უამრავი და ურთულესი პრობლემებია ჩვენს წინაშე და მცირეა ადამიანები, ვინც თავდადებით და ერთგულად ემსახურებიან მას. გისურვებთ, რომ ყოველი თქვენგანი ჩამდგარიყოს ამ საქმის სამსახურში და ყოფილიყოს მოწოდების სიმაღლეზე. გახსოვდეთ, ვისი გორისანი ხართ, მე დავამატებდი, ვისი ერისანი ხართ.

\* \* \*

მეგობრებო, უაღრესად დაძაბული მდგომარეობა არის შექმნილი საქართველოში. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის დაპყრობითი ომი კრემლისა, რომელიც წამოიწყო მან საქართველოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1921 წელს და რომელიც დღეს გრძელდება ამგვარ ფორმებში. ნურავინ იფიქრებს, რომ საბჭოთა რუსეთის აგრესია 1921 წლისა დასრულდა, დასრულდა საქართველოს ანექსია. არა, მეგობრებო, ეს დაპყრობითი ომი გრძელდება, უკვე სხვა ერების წარმომადგენლების ხელით. ის, რაც ხდება დღეს სამაჩაბლოში, აფხაზეთში და სხვა რეგიონებში, ეს კრემლისთვის, მეგობრებო, არის ეთნოკონფლიქტი, ეთნოკრიზისი - ეს კრემლის ტერმინებია, ხოლო ჩვენთვის ეს არის დაპყრობითი ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელსაც კრემლი ახორციელებს სხვა ერების მეშვეობით, სხვა ერების ხელით. ისინი არიან კრემლის იარაღი ამ შემთხვევაში, ისინი არიან დამპყრობელნი, ასეთივე დამპყრობელნი, როგორიც ჟლო-

ბას კავალერია, როგორიც მე-11 არმია. ისინი განაგრძობენ, აგრძელებენ ულობას კავალერიის საქმეს, ორჯონივიძის საქმეს. დიახ, მათი ხელით სურს კრემლს, მოახრჩოს ქართველი ერი, მოახრჩოს ჩვენი ეროვნული მოძრაობა, მოახდინოს მისი სრული პარალიზება, მეგობრებო. დაპყრობით ომს უნდა ვუპასუხოთ ომით. არ არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ არც ეთნოკონფლიქტებში და არც ეთნოკრიზისებში და ა.შ. - ეს მოსკოვის ტერმინოლოგია. არათუ უნდა ჩავერიოთ, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა, დავიცვათ ქალები და ბავშვები. სამაჩაბლოს ქალები და ბავშვები გამორბიან ცხინვალიდან და ჩვენ შველას გვთხოვენ, რა უფლება გვაქვს ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვიჯდეთ. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ეს მთავრობა მიიღოს ქმედითი ზომები, თუ არა და ქართველი ხალხი მიიღებს ზომებს, უკვე ღებულობს კიდევაც. დიახ, მეგობრებო, არც ერთი რეგიონი, სადაც ქართველი კაცი იჩაგრება, სადაც ქართველი ერის წინააღმდეგ მიმდინარეობს დაპყრობითო ომი, ჩვენ არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ. უნდა ვიზრუნოთ თავდაცვაზე. ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის განუყრელი უნდა იყოს თავდაცვითი მომზადებისაგან, რამეთუ დამოუკიდებელ საქართველოს ჭირდება დაცვა.

აი, წარმოიდგინეთ, მეგობრებო, ჯერ საოკუპაციო ჯარებს არ დაუტოვებიათ საქართველო, ჯერ ისინი აქ არიან და უკვე დაიწყეს ყოველმხრივ თავდასხმები ქართველ ერზე უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებმა. წარმოიდგინეთ ის დრო, როდესაც გაუქმდება საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში და დატოვებს საოკუპაციო ჯარი საქართველოს, როგორი შემოსევები იქნება ყოველი მხრიდან და ჩვენ უნდა გავუმკლავდეთ ამ შემოსევებს, გავუმკლავდეთ იარაღით ხელში. უნდა დავიცვათ ქართველი ერი იარაღით ხელში. ეს არის ჩვენი ვალი ქართველი ერის წინაშე.

მე გუშინ ვიყავი სამაჩაბლოში, ფრონტს ხეობაში, ე.ნ. ზნაურის რაიონში. კარგად შევისწავლე იქაური ვითარება და დავრმუნდი, რომ კრემლი აიარაღებს ოსურ მოსახლეობას უახლესი ტექნიკით. სპეციალურად მოვლენილი არის საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის

რეფერენტი, გენერალი ცოგოლოვი, ეროვნებით ოსი, რომელსაც გამოვლილი აქვს ავღანეთის სკოლა და დავრწმუნდით, რომ იგი აიარალებს ოსურ მოსახლეობას საბჭოთა არმიის მიერ მიცემული იარაღით. სხვაგვარი ახსნა არა აქვს იმ შეიარაღებას, რომელიც გააჩნია ოსურ პიკეტებს ზნაურის რაიონში და რომელიც შეისწავლა ჩვენმა შტაბმა და ქართველმა მილიციამ. ამ იარაღს ოსური მოსახლეობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიძენდა შავ ბაზარზე. აქ არის უახლესი ტექნიკით გამართული პროექტორები, ტყვიამფრქვევები, საზენიტო ტყვიამფრქვევები. საკუთარი ჯავშანტრანსპორტიორებიც აქვთ, ე.ი. არმია, საბჭოთა არმია გადავიდა არაქართული მოსახლეობის შეიარაღებაზე, რათა ისინი დაესხნენ თავს ქართულ მოსახლეობას და მოაწყონ გენოციდი. მზადდება ქართველი ერის გენოციდი, ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით. ეს პირდაპირ განუცხადა „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტმა ქართველ მოპიკეტებს. დიახ, ჩვენ - რუსები, აფხაზები, ოსები, თათრები და სომხები - ყველანი შევერთდებით და ამოვხოცავთ ქართველებსო. აი, ასე განაცხადა პირდაპირ. ამით მან თავისი პატრონების გულისნადები გაამუღავნა. ამიტომ არ უნდა ვიყოთ, მეგობრებო, გულხელდაკრეცილნი და უნდა ვემზადოთ ჩვენი სამშობლოს დაცვისათვის.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ზეიად გამსახურდიას სიტყვა - წარმოთქმული 1989 წლის 25 დეკემბერს თბილისში გამართულ მიტინგზე // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 27 დეკემბერი. - №17. - 1 გვ.

# **ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საპროტა სრციალისტური რესუბლიკის უზენაესი საპროც პრეზიდიუმს**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილების გამო თქვენი პროტეგის პასუხად საჭიროდ ვთვლი განვაცხადო:

**1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება კანონიერია როგორც მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე იურიდიული საფუძვლების მიხედვითაც, რაც აღნიშნული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საჭოს სესიაზე ჩემს მოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ამა წლის 14 დეკემბრის ნომერში.**

**2. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება იმ დროსაც კი საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არ ცნობდნენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ პოლიტიკური ავტონომიის შექმნის უფლებას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხელოვნურად მაინც შეიქმნა და თანაც ოდინდელ ქართულ ტერიტორიაზე, ქართველებით დასახლებული სოფლებისა და ქალაქ ცხინვალის ოლქის საზღვრებში მოქცევის გზით, რითაც დაირღვა შიდა ქართლის რეგიონის ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობის უფლებები.**

**3. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის არამართლზომიერების მიუხედავად, ოსი მოსახლეობის უფლებები არათუ ილაპებოდა, არამედ, პირიქით მას სრული შესაძლებლობა მიეცა იმისა, რომ მაქსიმალურად განევითარებინა ეროვნული კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკური თვითმმართველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დონეზე, რასაც ვერ ვიტყვი ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.**

4. მიუხედავად ყველა ამ უპირატესობისა, რომლებიც მათ ოლქის ქართველი მოსახლეობის უფლებათა აშკარა შელახვის ფონზე მოიპოვეს, სეპარატისტთა ჯგუფმა უკვე კარგა ხანია აიღო კურსი ამ რეგიონში ფაქტობრივად და-მოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისა, რამაც ასახვა პოვა „სუვერენული რესპუბლიკის“ გამომცხადებელი საოლქო საბჭოს მთელ რიგ გადაწყვეტილებებში, აგრეთვე მოცე-მული რესპუბლიკის ე.წ. უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებაში.

ოლქის ხელმძღვანელობამ უგულებელყო საქართვე-ლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არაერთი მითითება ამ აქტების არაკონსტიტუციურობის შესახებ, რის გამოც აუცილებელი გახდა გადამწყვეტი ზომების მიღება საქართ-ველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შესან-არჩუნებლად და ამით ისტორიული სამართლიანობის აღ-სადგენად.

და ბოლოს, საჭიროდ ვთვლით ყურადღება გავამახვი-ლოთ თქვენი პროტესტის დაუშვებელ ტონზე, უხეშად რომ ამასინჯებს შექმნილ ვითარებაში საქმის ფაქტობრივ მხ-არეს. ყოველივე ეს თქვენი მხრიდან უხეში ჩარევაა ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, რასაც შეიძლება ერთობ არასასურველი შედეგები მოჰყვეს, რომლებიც კიდევ უფრო გაამნვავებენ ისედაც დაძაბულ ვითარებას და გამოიწვევენ დაძაბულობის პროვოცირებას ჩვენს რესპუბლიკებს შორის. ასეთ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტუ-რი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია

მიმართვა : ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს / გამსახურდია ზ. // საქა-რთველოს რესპუბლიკა. - 1990. - 27 დეკემბერი. - №17. - 1 გვ.

## **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება**

### **საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავ-ლის ნაწილში 4.532.832 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწ-ილში 4.398.758 ათასი მანეთის ოდენობით. გასავალზე შე-მოსავლის 134 074 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 28 დეკემბერი. - № 18. - 2 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზანავის საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი სხვა საკანონმდებელო აქტების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზი“, რომელიც შემუშავებულია საწარმოების, დარგებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სავარაუდო მონაცემთა საფუძველზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მყარი ფუნქციონირებისა და სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში თანამშრომლობის, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

დაამტკიცოს და შემსრულებელს გააცნოს 1991 წელს სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები მათი ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დაბალანსების გათვალისწინებით;

დაადგინოს, რომ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები სავალდებულოა საწარმოთა პროგრამაში შესატანად და შესასრულებლად;

აცნობის რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ბაზრის ტევადობის საორიენტაციო პარამეტრები - სამრეწველო და სასოფლო-სამეურეო პროდუქციის, სხვა დარგთა პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამუშაოების წარმოებისა და შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლები 1991 წლისათვის.

3. 1991 წელს სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნისა და სტაბილიზაციის, საბაზრო ურთიერთობის ფორმების დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებად მიჩნეულ იქნეს:

რესპუბლიკაში და მის ყველა რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია;

ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღება და სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაცია;

ურთიერთშეთანხმებული სოციალური გარანტიების სისტემის პრაქტიკაში დანერგვა და მოსახლეობის დასაქმების ერთიანი პოლიტიკის ფორმირება მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისათვის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი სახსრებიდან რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამართლიანი წილის მიღებისა და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისა და ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის სამუშაოთა ფართოდ გაშლის პირობებში.

4. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოებს, უწყებებს, ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათს განკარგულებაში არსებული სავალუტო სახსრების გამოყენების მიმართულებით განსაზღვრისას, უნინარეს ყოვლისა, გაითვალისწინონ მათი ხარჯვა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების მოცულობის გასადიდებლად საჭირო ნედლეულის, მასაღების, მაკომბლექტებელ ნაკეთობათა და მოწყობილობათა შეძენი-

სათვის.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამჟამად მიმდინარეობს სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებათა დადების პროცესი, რომელმაც სათანადო პირობები უნდა შეუქმნას როგორც ძველი სამეურნეო ურთიერთობების შენარჩუნებას, ასევე ახალი კავშირების ჩამოყალიბებას. ამ პროცესის მიზანდასახული წარმართვისა და 1991 წლის პროგნოზით შემუშავებული საწარმოო და სამშენებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოებსა და გაერთიანებებს გაააქტიურონ მუშაობა შესაბამისი საწარმოო კავშირების შენარჩუნება-გაძლიერების, სანედლეულო რესურსების ახალი ალტერნატიული წყაროების გამონახვის, შრომითი და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 28 დეკემბერი. - № 18. - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**  
დაინიშნოს ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორ-ის დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 28 დეკემბერი. - № 18. - 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**  
არჩეულ იქნეს მინდია გურამის ძე უგრეხელიძე საქა-  
რთველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯ-  
დომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარის არჩევის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რეს-  
პუბლიკა. - 1990. - 28 დეკემბერი. - № 18. - 1 გვ.

## პატონიშვილ გიორგი პაგრატიონს

თქვენო უმაღლესობავ!

დიდ მადლობას გიძლვნით მოლოცვისათვის საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი არჩევის გამო.

დღეს საქართველოში ინყება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი კვლავაც გმირულად იბრძოლებს თავისუფლებისათვის, ვითარდა ეს ეკადრება ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეულ შთამომავალთ.

ვფიქრობ, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც თქვენი უმაღლესობა სამშობლოში ჩამობრძანდება და პირადად მოგვეცემა თქვენი გაცნობის შესაძლებლობა.

გულწრფელი პატივისცემით  
ზვიად გამსახურდია.

ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 29 დეკემბერი. - № 19. - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო პრეზიდენტის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**  
დაინიშნოს ევტიხი შალვას ძე ბენდელიანი საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრად.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არ-  
ბიტრის დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბ-  
ლიკა. - 1990. - 29 დეკემბერი. - № 19. - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზანავის საბჭოს დადგენილება

## კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების პრეზიდენტის პრეზიდენტის

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, რაც აძლევს შესაძლებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მოიხადონ თავიანთი საპატიო ვალი სამშობლოს წინაშე, და აგრეთვე მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ რეპუბლიკაში მოქმედი კანონით გაუთვალისწინებელ ფორმირებებს დესტაბილიზაცია შეაქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საფრთხეს უქმნიან სამოქალაქო მშვიდობის, მოქალაქეთა სიცოცხლესა და კანონით დაცულ ინტერესებს,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**

1. აიკრძალოს რესპუბლიკაში კანონით გაუთვალისწინებულ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა და მოქმედება.

2. წინადადება მიეცეთ კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებებში გაერთიანებულ პირებს ერთი თვის ვადაში ჩააბარონ იარაღი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს.

3. დადასტურდეს, რომ თუ ამ დადგენილების მეორე პუნქტში აღნიშნული პირები დათქმულ ვადაში ნაბაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, მათ მიმართ არ იქნება გამოყენებული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება : კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1990. - 29 დეკემბერი. - № 19. - 3 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს

### დადგენილება

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა  
საშუალებათა შესახებ“

საქართველოს რესპუბლიკის

კანონის პროექტის

სახალხო განხილვის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალება-  
თა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი  
გამოქვეყნდეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

დადგენილება : „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალება-  
თა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო  
განხილვის თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. –  
1990. – 30 დეკემბერი. – №20. – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ 1980 წლის 28 მარტის კანონი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1980 წ. № 3, მუხ. 85).

3. ეს კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია  
თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

კანონი : საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1990. – 30 დეკემბერი. – №20. – 2 გვ.

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი  
საქართველოს რესპუბლიკის  
სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების  
დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ (თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., №6, მუხ. 108).

## დებულება

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის სახლემწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემო-საზღვრული შვიდებიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორ-ნამენტში ქიმების გასწვრივ ჩანსული აქვს შვიდი შავარ-შიანი თეთრი ბოლნური ჯვარი, როგორც ჯვრების, ასევე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქარ-თული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზეც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრე-ბული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში საბრძოლო შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი უპყრია, ხოლო მარცხენაში - ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროს-ფერი წალები, შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნით და თეთრი მოსასხამით, ჯავშნის ქვეშ მოუჩანს ყავისფერი (მიხავისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი, უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი ვერცხ-ლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლის-ფერი ვარსკვლავია, ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხ-ლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ - ოქროსფერი მზე. მთვა-რისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამო-სახულია მთის მწვერვალი.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება თავსდება :

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქა-რთველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის,

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების შენობებზე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების შენობებზე (აპრებზე), აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომდგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შენობებზე;

ბ) დარბაზებში, სადაც ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სხდომები, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების სასამართლო სხდომათა დარბაზებში, აგრეთვე დაბადებისა და ქორწინების საზეიმო რეგისტრაციის შენობებში.

გ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების სასამართლო კანტორორების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე, რომელთაც ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე გერბის გამოსახულების მოთავსების უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

დ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქა-

რთველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ გამოცემებზე;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ფულსა და ლატარიის ბილეთებზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების სავალდებულო რეპროდუცირების სხვა შემთხვევებიც.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების რეპროდუცირება, მისი ზომების მიუხედავად, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს გერბის ფერად ან შავთეთრ განოსახულებას, რომელიც თან ერთვის ამ დებულებას.

მუხლი 4. ამ დებულების გამოყენების წესებს გამოსცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

კანონი : საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე (თანდართული დებულებით) / გამ-სახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1990. – 30 დეკემბერი.-

№20. – 2,3 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დაგულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**

3. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ (თან ერთვის).

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., №6, მუხ. 109).

## დეპულება

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართულთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თოთოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე - დროში სიგრძის 2/5.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა აღიმართება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობაზე - მუდმივად, აგრეთვე იმ შენობაზე, სადაც ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, - სესიის მთელ პერიოდში.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობაზე - მუდმივად;

გ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს შენობაზე - მუდმივად, აგრეთვე იმ შენობაზე, სადაც ტარდება სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სხდომები, - სხდომების მთელ პერიოდში;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს შენობაზე - მუდმივად;

ე) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების შენობებზე - მუდმივად, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების სესიები, - სესიის მთელ პერიოდში;

ვ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შენობებზე - მუდმივად;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების შენობებზე:

1 იანვარს - ახალ წელს;

7 იანვარს - უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს - ნათლისდებას - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრნყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს - საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს - მცხეთობის (სვეტიცხოვლის, კვართის დღესასწაულის დღეს);

23 ნოემბერს - გიორგობის დღეს.

ნებადართულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა ამ მუხლში მითითებულ შენობებზე აღიმართოს სხვა დღესასწაულებსა და სამახსოვრო დღეებშიც.

თ) საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადეგენლობების და საკონსულო დაწესებულებების შენობებსა და მიმოსვლის საშუალებებზე - თანახმად საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციისა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

ი) საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია.

კ) საზღვაო და შინაგანი მიმოსვლის გემებსა და მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომლებზეც ოფიციალური პირების სახით იმყოფებინ: საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან სხვა პირები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები და კონსულები - აღნიშნულ პირთა თანხმობით.

ლ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთ საბჭოს განკარგულებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა შეიძლება აღიმართოს აგრეთვე სახელმწიფო ან სხვა საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ცერემონიებისა და სხვა საზეიმო ღონისძიებების დროს.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშასთან ერთად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშების, აგრეთვე სხვა ქვეყნების დროშების აღმართვის დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის ზომა არ შეიძლება იყოს ავტონომიური რესპუბლიკის ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშის ზომაზე ნაკლები.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა და მის გამოსახულება მიუხედავად ზომისა, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონს თანდართულ ფერად და სქემატურ გამოსახულებას.

მუხლი 5. ამ დებულების გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**

**ზ. გამსახურდია**

**თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.**

კანონი : საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე (თანდართული დებულებით) / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1990. – 30 დეკემბერი. – №20. – 2 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის ცვლილებების შეტანის შესახებ

„არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულ-თა აღდგენის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., №6, მუხ. 118; 1977 წ., №11, მუხ. 158) და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 64. უქმე დღეები**

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს - ახალ წელს;

7 იანვარს - უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს - ნათლისძებას - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვლე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს - საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს - მცხოვობის (სკეტიცხოვლიბის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს - გიორგობის დღეს.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო ტექნიკური პირობებით (უწყვეტად მოქმედი საწარმო, დაწესებულე-

ბა, ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლოების მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი საავარიო-სარემონტო და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები“.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია  
თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.**

კანონი : საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1990. – 30 დეკემბერი.- №20. – 2 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დადგენილება

„ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის  
ტერიტორიიზე საგანგებო წესების  
გამოცხადების შესახებ“ საქართველოს  
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1991 წლის 4 იანვარს ქ. ცხინვალში ოსი ექსტრემისტები  
თავს დაესხენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმე-  
თა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტე-  
ტის პასუხისმგებელ მუშაკებს, მიაყენეს მათ ფიზიკური  
შეურაცხყოფა და წაართვეს ტაბელური იარაღი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბ-  
ლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქ. ცხინვალისა და ჯავის  
რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების  
შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების  
მე-2 პუნქტი და ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერი-  
ტორიაზე კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა  
განისაზღვროს 19-დან 7 საათამდე.

დადგენილება ძალაში შედის 1991 წლის 6 იანვრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია  
თბილისი. 1991 წლის 5 იანვარი.

დადგენილება : „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიებზე სა-  
განგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილების შეტანის  
შესახებ / ზვიად გამსახურდა // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 6  
იანვარი. - №4 (24). - 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიტების

### დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის  
უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო  
სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდ-  
იუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი  
მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხ-  
დომა 1991 წლის 9 იანვრის 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხ-  
დომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება  
9 იანვრის 9 საათზე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია  
თბილისი. 1991 წლის 8 იანვარი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზე-  
ნაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის მოწვევის შესახებ /  
ზეიად გამსახურდია // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 9 იანვარი.  
- №5 (25). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს დადგენილება

## სსრ პავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენავს საბჭოს, რომელიც გაეცნო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, მიაჩინა:

1. სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის იურიდიულ ძალას, ანტიკონსტიტუციურია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეუძლია სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი საზღვრების ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლი და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი), რომლის ძალითაც რესპუბლიკის კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა აქტები განუხრელად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანომ, საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანამხმად რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის ყველა საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და გააუქმა თავის დროზე უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-

რი ოლქი, სადაც ამჟამად ექსტრემისტები არა მარტო აშკა-  
რა დისკრიმინაციას უწევენ და ავიწროებენ იქ მცხოვრებ  
მკვიდრ მოსახლეობას, არამედ ცდილობენ საქართველოს  
მოწყვიტონ ეს რეგიონი;

გ) სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ  
სსრ კავშირის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია დამტკი-  
ცოს ახალ ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა (73-ე მუხლის  
მე-2 პუნქტი), ამ საკითხის გადაწყვეტა კი მოკავშირე რე-  
სპუბლიკის პრეროგატივაა (საქართველოს რესპუბლიკის  
კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი),

ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების  
საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუ-  
ფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, ვინაიდან ამგვარი  
წესი არ არის გათვალისწინებული არც სსრ კავშირის კონ-  
სტიტუციით და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტი-  
ტუციით. „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შო-  
რის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ 1990 წლის  
26 აპრილის კანონი, მთელი თავისი ანტიკონსტიტუციურო-  
ბის მიუხედავად, ასევე არ ითვალისწინებს ავტონომიური  
ოლქის გაუქმების ფაქტის დადასტურებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ვალდებულია სსრ კავ-  
შირის კონსტიტუციის 87-ე მუხლიდან ამოიღოს დებულე-  
ბა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სამხრეთ  
ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფნის შესახებ და ამით სსრ  
კავშირის კონსტიტუცია შეუსაბამოს იურიდიულ და ფაქ-  
ტობრივ სინამდვილეს.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ  
აკნინებს ეროვნებებისა და ხალხების თვითგამორკვევის  
უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით,  
ამასთან დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლების გავრცელებას  
საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე,  
რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა აქვთ საქართ-  
ველოს ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო სამართალიც კი  
მათ ანიჭებთ მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომი-  
ის უფლებას და თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყვე-  
ლა სფეროში (ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკუ-

რი უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, ახლახან მიღებული პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის და სხვა აქტები), რაც საქართველოში ყოველთვის იყო და არის უზრუნველყოფილი ყველა ერის წარმომადგენლებისათვის.

ადსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი ოლქის გარდა, სადაც 65 ათასი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, საქართველოს სხვა რაიონებში 100 ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე სახლობს, რომლებიც ყველა სამოქალაქო და ეკონომიკურ-კულტურული უფლებებით სარგებლობენ.

3. მიუღებელია სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტის პოზიცია, ვინაიდან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სეპარატისტულ მოქმედებათა მთელი დროის განმავლობაში, როდესაც მან მიიღო საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებისაკენ მიმართული აშკარად ანტიკონსტიტუციური აქტები (1990 წლის 20 სექტემბერსა და 16 ოქტომბერს), საკავშირო ორგანოებმა არავითარი თვიციალური რეაგირება არ მოახდინეს, მხარი არ დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მის პრეზიდიუმს, რომლებმაც საოლქო საბჭოს მოქმედებანი არაკონსტიტუციურად გამოაცხადეს სწორედ სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით, რასაც ასე ხშირად იშველიებს სსრ კავშირის პრეზიდენტი.

თუ სსრ კავშირის კონსტიტუციას ვერწმუნებით, კავშირისა და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის პრეზიდენტის ამოცანაა უზრუნველყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ხელისუფლების საკავშირო ორგანოები ფაქტობრივად აქტებენ ოს სეპარატისტებს უკანონო ქმედებისათვის: 9 დეკემბერს უკანონოდ შექმნილ „რესპუბლიკაში“ არჩევნები მოეწყო. ამ შემთხვევაშიც სსრ კავშირის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და თვით უზენაში საბჭომაც დუმილი ამჯობინეს.

სსრ კავშირის პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ მოახ-

დინა რეაგირება, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იძულებული გახდა გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც ფაქტობრივად გაუქმდა ავტონომიური ოლქის საქართველოსაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით.

საგულისხმოა, რომ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღება განაპირობა საკავშირო ორგანოების მიმნებებლობამ, რითაც ისარგებლეს ოსმა სეპარატისტებმა, ქ. ცხინვალში მოკლეს და დაჭრეს საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების რამდენიმე წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ იქ იმყოფებოდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები.

ექსტრემისტებმა, რომლებიც გრძნობენ ცენტრის მხარდაჭერას, წესად გაიხადეს თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რომელთაც ეკისრებათ საგანგებო მდგომარეობის პირობებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა, და მძევლებადაც აჰყავთ ისინი.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ჩამოერთვათ იარაღი, რომელიც დიდი რაოდენობით დაუგროვდათ აღვირახსნილ ექსტრემისტებს.

ყოველგვარ მორალურ და იურიდიულ საფუძველს არის მოკლებული სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების მოთხოვნა, რომლის თანახმადაც რეგიონიდან გაყვანილ უნდა იქნეს ყველა შეიარაღებული ფორმირება, გარდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა.

რეგიონში არ არის არავითარი „შეიარაღებული ფორმირებანი“, გარდა ოსი ექსტრემისტებისა, რომლებიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მიმნებებლობის გამო ნადირობენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე, რის თაობაზეც ბრძანებულებაში, რატომლაც, არაფერია ნათქვამი.

მილიციის ქვედანაყოფები შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების შემადგენელი ნაწილია და პროფილაქტიკური და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებენ რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

საგანგებო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალების გამოყენება უშუალოდ არის გათვალისწინებული როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ასევე სსრ კავშირის კანონმდებლობით. ეს რესპუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი სუვერენული უფლებაა და ხელისუფლების არც ერთ საკავშირო ორგანოს, სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი, არა აქვს უფლება შეზღუდოს რესპუბლიკის კომპეტენცია - წესრიგი დაამყაროს თავისი ტერიტორიის ფარგლებში, მით უმტკეს, რომ საგანგებო მდგომარეობის შემოღება მართლზომიერად ცნეს შესაბამისმა საკავშირო ორგანოებმა.

პრეზიდენტის ბრძანებულების ტრაგიკულმა შედეგებმა თავი იჩინა მისი გამოქვეყნებიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ. ამ აქტით გამხნევებული ადგილობრივი ექს-ტრემისტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს, არის მსხვერპლი.

ნიშანდობლივია, რომ ბრძანებულება, ერთი მხრივ, სადაცოს ხდის საქართველოს რესპუბლიკის კანონს და მიუთითებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დუმილით უვლის გვერდს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სტრუქტურების ლიკვიდაციის აუცილებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**

1. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალა.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე დაისვას სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლში შესაბამის ცვლილებათა შეტანის საკითხი.

**3.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ უკანონოდ ცნო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული აქტები ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

**4.** უკანონოდ იქნეს მიჩნეული ბრძანებულების მოთხოვნა რეგიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიღიცის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ, ვინაიდან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებენ და საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ კანონმდებლობის შესაბამისად.

**5.** საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა განაგრძონ „ქ. ცხინვალში და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით მათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

**6.** მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკისა და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულებელყოფად, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდების დამახინჯებაშიც: ბრძანებულებაში გამოყენებულია ძველი დასახელება - საქართველოს სსრ.

**7.** ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში ხელყოფაა აუკრძალო დემოკრატიული წესით არჩეულ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს საკუთარი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით აკონტროლებდეს ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგანი ჯარები ეცდებიან ძალის გამოყენებით დაატოვებინონ სქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული რეგიონი, ეს ქმედება შეფასებული ქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ

ომის დაწყება;

ამ აქციის შესაძლო შედეგებისათვის მსოფლიო საზოგა-  
დოებრიობის წინაშე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრე-  
ბათ საკავშირო უმაღლეს ხელისუფლებას და პირადად სსრ  
კავშირის პრეზიდენტს.

8. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია  
თბილისი. 1991 წლის 9 იანვარი.

დადგენილება : სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის  
ბრძანებულების შესახებ / ზეიად გამსახურდია // საქართველოს რესპუბ-  
ლიკა. - 1991. – 10 იანვარი. - №6 (26). – 1 გვ.

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის**

**დადგენილება**

**„ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის  
ტერიტორიაზე საგანგებო წესების  
გამოცხადების შესახებ“**

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილებაში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდ-  
იუმი ადგენს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების პირველი პუნქტი და საგანგებო წესების მოქმედების ვადა ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გაგრძელდეს.

1991 წლის 12 თებერვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზოიად გამსახურდია  
თბილისი. 1991 წლის 11 იანვარი.

დადგენილება : „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 12 იანვარი. - №8-9 (29). - 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის  
სტატუსის შესახებ“

საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
სამოქმედოდ შეაღიაზების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუ-  
სის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმე-  
დოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზეიად გამსახურდია  
თბილისი. 1991 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება : „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის  
შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების  
თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 12  
იანვარი. – №8-9 (29). – 4 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტროს

## დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო

წყობილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კანონის

სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1981 წ., №13, მუხ. 292);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო), სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., №13, მუხ. 293);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო), სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა განვევის წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., №13, მუხ. 294);

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1981 წლის 25 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო), სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო), სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო

მსაჯულთა გაწვევის წესის „შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., №13, მუხ. 295);

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზეიად გამსახურდია  
თბილისი. 1991 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 12 იანვარი. - №8-9 (29). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზანაესი საბჭოს პრეზიდიტების

## განცხადება

1991 წლის 12 იანვარი

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებამ საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ უაღრესად გაამწვავა მდგომარეობა ქალაქ ცხინვალში, სწორედ ამ ბრძანებულების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ ოს ტერორისტთა ჯგუფები.

პრეზიდენტის ბრძანებულებით გამხნევებულმა ტერორისტებმა მოაწყვეს რამდენიმე თავდასხმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების საგუშაგოებზე, რის შედეგადაც დაიღუპა 7 და დაიჭრა რამდენიმე ათეული მილიციის თანამშრომელი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება ერთ-ერთი გამოვლინებაა კრემლის მიერ აღებული კურსისა ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის აღორძინებისკენ. ცენტრის დიქტატორული პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა იმ რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტების ხელმძღვანელობით დაადგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას.

სარგებლობს რა სპარსეთის ყურის კრიზისის უკიდურესი გამწვავებით და საქართველოს ტერიტორიის ამ რეგიონთან სიახლოვით, კრემლი, საბჭოთა არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანით, ფაქტობრივად ამზადებს საქართველოში დიქტატურას - საპრეზიდენტო მმართველობის სახით. ყოველივე ეს გამოიწვევს უკიდურეს დესტაბილიზაციას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიის რეგიონში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართვე-

ლოში სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი გზა ჩვენ  
შინაურ საქმეებში ცენტრის ჩაურევლობაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით  
მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, მსოფლიოს  
დემოკრატიულ ძალებს, ხმა აღიმაღლონ კრემლის დიქტატ-  
ურის ახალი ტალღის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზეიად გამსახურდია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხა-  
დება 1991 წლის 12 იანვარი / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბ-  
ლიკა. - 1991. - 15 იანვარი. - №10 (30). - 1 გვ.

## განცხადება

1991 წლის 12-13 იანვრის ღამეს ვილნიუსში საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხნენ ლიტვის ტელეცენტრსა და ქალაქის დაწესებულებებს. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯარმა გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი და მძიმე სამხედრო ტექნიკა - საბჭოთა სამხედრო ტექნიკა. საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ ქალაქში შემოიღო კომენდანტის საათი. ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმე-თა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა თავდასხმა ტელეცენტრზე, სადაც ესროდნენ უიარაღო ხალხს და სრესდნენ სამხედრო ტექნიკით.

დაუზუსტებელი მონაცემებით, მოკლულია 15-ზე მეტი და დაჭრილია 150-ზე მეტი კაცი. დაკარგულია პრე-მიერ-მინისტრი შემენასი. ლიტვის უზენაესმა საბჭომ დანიშნა ახალი პრემიერი ვაგნორიუსი.

ვინაიდან ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობას გარს არ-ტყია ლანდსბერგისის ათიათასობით მომხრე, სამხედრო ნაწილები ჯერ-ჯერობით ვერ ბედავენ შენობის იერიშით აღებას და ცდილობენ სამოქალაქო პირთა შორის შეტაკებების პროვოცირებას. „ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტი“, რომელიც ლიტვის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა, თავი თვითნებურად გამოაცხადა უზენაეს ხელისუფლებად და მოუწოდა თავის მომხრეებს დაიკავონ უზენაესი საბჭოს შენობა და დაითხოვონ პარლამენტი.

საქართველოს უზენაესი საბჭო პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიტველი ხალხისა და მისი კანონიერად არჩეული პარლამენტის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების გამო და სოლიდარობას უცხადებს ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტს.

ლიტვაში მიმდინარე მოვლენები მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში იმარჯვებენ რეაქციული ძალები, რომელთაც სურთ ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტიმი გმობს ლიტვის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლიან აგრესიას და მოითხოვს სისხლიან აგრესიას დაუყოვნებლივ გამოყვანას ლიტვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი  
ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს აღნიშნული  
განცხადება რეზოლუციის სახით ერთად  
მიიღეს 1 იანვარს მთავრობის  
სასახლის წინ ლიტვის რესპუბლიკის  
მხარდასაჭერად გამართული მრავალათასიანი  
მიტინგის მონაწილეებმა.

სა „საქართველო“.

განცხადება / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 15  
იანვარი. – №10 (30). – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის

### განცხადება

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 13 იანვარს, მთავრობის სახლთან, გაიმართა ლიტველ ხალხთან სოლი-დარობის მიტინგი. იმავე საღამოს, რადიოსადგურმა „თავი-სუფლებამ“ (რუსულმა რედაქციამ), გადასცა რეპორტაჟები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებული ანალოგიური მიტინგების შესახებ.

თბილისიდან გადაცემულ რეპორტაჟში რადიოსადგურის კორესპონდენტი საგანგებოდ შეეხო მიტინგზე გამოსული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ორატორმა ილაპარაკა „ინტერფრონ-ტებთან“ თუ ცენტრის სხვა „მეხუთე კოლონებთან“ ქართველი ერის დამოკიდებულებაზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ რადიოსადგურის აზრი, თითქოს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ პირდაპირი გაგებით ვისმეს „ფიზიკური განადგურებისაკენ“ მოუწოდა, მცდარია და აბსოლუტურად არ ასახავს არც უზენესი საბჭოს და მით უმეტეს, არც მისი თავმჯდომარის პოლიტიკურ პრინციპებს.

რაც შეეხება „ინტერფრონტებსა“ და იმპერიის სამსახურში მყოფ სხვა ძალებს, რომელთა პირდაპირი „დამსახურება“ ვილნიუსში დატრიალებული ტრაგედია, მსგავსი ძალების წინააღმდეგ ქართველი ხალხი მუდამ იბრძოლებს მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით. ამასვე გულისხმობდა ბატონი ზვიად გამსახურდია თავის გამოსვლაში.

**1991 წლის 15 იანვარი.  
უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 16 იანვარი. - №11 (31). - 1 გვ.

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის  
ზოგად გამსახურდიას**

**განცხადება**

**უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის  
საშუალებებისათვის**

სავსებით ვიწონებ ამერიკის შეერთებული შტატების და ანტიერაყული კოალიციის მოქმედებას კაცობრიობის მტრის სადამ ჰუსეინისა და მისი დამქაშების ასალაგმავად. საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევები, სხვა ქვეყნის ანექსია დღეს არავის არ უნდა შერჩეს.

შეშფოთებას გამოვთქვამ მხოლოდ, ქიმიური ცენტრების დაბომბვამ გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი არ მოუტანოს რეგიონს და მის მეზობელ ქვეყნებს. ჩემიაზრით, საჭიროა კონტრზომების მიღება ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერაყის მეზობელ ქვეყნებში.

**საქინფორმი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას განცხადება უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 18 იანვარი. - №12 (32). – 3 გვ.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
გენერალურ მდივანს  
მის აღმატებულებას  
პატონ ჭავიერ პერეს დე კუელარს!**

გამოცხატავ რა ქართველი ხალხის ნებას, მაქვს პატივი, შეგატყობინოთ, რომ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ შეხედ-ულებებს და პოზიციას, რაც გამოხატული იყო ბალტიის რე-სპუბლიკების და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 13 იანვრის მიმართვაში.

შესაბამისად ამისა მომეცით უფლება, თქვენო აღ-მატებულებავ, ვითვლებოდე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის კიდევ ერთ ხელმომწერად.

**ღრმა პატივისცემით  
საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზეიად გამსახურდია**

მიმართვა : გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მის აღმატებულებას ბატონ ჭავიერ პერეს დე კუელარს! // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 18 იანვარი. - №12 (32). – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

20 იანვარს ლატვიის დედაქალაქ რიგაში უდანაშაულო ადამიანთა სისხლი დაიღვარა.

პოლიციის საგანგებო დანიშნულების შენაერთები და საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ალყა შემოარტყეს და შტურმით აიღეს ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. მთელი ღამის მანძილზე ქალაქის ქუჩებში გრძელდებოდა სროლა, არის მსხვერპლი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს მომხდარი მოვლენის გამო და მიიჩნევს მას, როგორც უხეშ ჩარევას სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლატვიის დედაქალაქში დატრიალებული ტრაგედია, უშუალო გაგრძელებაა ლიტვის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ 12-13 იანვარს განხორციელებული სისხლიანი აგრესიისა.

აშკარაა, რომ კრემლითანიმდევრულად ახორციელებს დამსჯელ ღონისძიებებს იმ რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომლებიც თავის დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იბრძვიან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თანაგრძნობასა და სოლიდარობას უცხადებს ლატვიელ ხალხს და მოუწოდებს მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს, ყველა კეთილი ნების ადამინს, დაპგმონ იმპერიის მორიგი სისხლიანი აქცია და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა აღიკვეთოს რეაქციული ძალების შეტევა დემოკრატიის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 22 იანვარი. - №14 (34). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზანაესი საბჭოს პრეზიდიტების

## დადგენილება

ორმოცდათი და ას მანეთიანი ფულის ნიშნების ჩაბარებისა და მათი სხვა ღირებულების ფულის ნიშნებზე გამოცვლის ღონისძიებათა რეპუბლიკაში ორგანიზებულად ჩატარებისა და ამ ღონისძიებების განხორციელებისას წამოჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს რეპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

შეიქმნას სპეციალური რესპუბლიკური სადეპუტატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **გელანტია ტ. ა.** - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, კომისიის თვმჯდომარე.

2. **თაქთაძიშვილი გ. ჩ.** - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

3. **აბსანძე გ. ვ.** - საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.

4. **პატეიშვილი ვ. ა.** - სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

5. **ხატიაშვილი ო. გ.** საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1991 წლის 23 იანვარი.

დადგენილება : ორმოცდათი და ას მანეთიანი ფულის ნიშნების ჩაბარებისა და მათი სხვა ღირებულების ფულის ნიშნებზე გამოცვლის ღონისძიებათა შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 26 იანვარი. - №18 (38). - 1 გვ.

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და  
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს  
დადგენილება**

**საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის  
სახელმწიფო პანკის  
1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის  
ნიშნების გაცვლის მიმღინარეობის შესახებ**

იმ მიზნით, რომ ეფექტიანად განხორციელდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1991 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გამოცვლა, მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ამ პროცესში მოსახლეობის ინტერესები, გაძლიერდეს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა და მოხდეს ფულის მომოქცევისა და სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაცია, აღნიშნული ფულის ნიშნების გამოცვლისას რესპუბლიკაში გატარდეს ერთიანი პოლიტიკა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 23 იანვრის დადგენილების თანახმად შექმნილი რესპუბლიკური სპეციალური სადეპუტატო კომისიის წინადადებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო **ადგენენ:**

1. მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს საგანგებო უფლებამოსილებანი იმისათვის, რომ კოორდინაცია გაუწიონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გამოცვლას და გაკონტროლონ, სწორად სრულდება თუ არა მიმოქცევიდან ამოღების ღონისტობანი.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას (ო. ხატიაშვილი, გ. აბსანძე) მიენიჭოს უფლება,

რომ თანამდებობიდან გადააყენონ საბანკო და საფოსტო დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი წესის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გამოცვლისა და მიმოქცევიდან ამოღების ღონისძიებათა გატარება.

3. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ განკარგულებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
თ. სიგუა.

თბილისი. 1991 წლის 26 იანვარი.

**დადგენილება :** საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიმუშის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გაცვლის მიმდინარეობის შესახებ / გამსახურდია ზ., სიგუა თ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 29 იანვარი. - №19 (39). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

“საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოდან  
დეპუტატის განვითის წესის შესახებ“  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

“საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის განვითის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი წაკითხვით.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი.

დადგენილება : “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატების განვითის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 31 იანვარი. – №21 (41). – 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირში კომპარატივის შესახებ“  
კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების  
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე  
შეჩერების თაობაზე

სსრკ უზენაესი საბჭოს 1988 წლის 26 მაისის დადგენილებით 1991 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ იქნა შემოღებული „სსრ კავშირში კომპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის კანონი, რომლის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის წესის შეცვლა ნებაყოფლობითობის პრინციპით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად განიცდის ბუნებრივი და სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ ზარალს, ხოლო გლობალური სტიქიური მოვლენებითა და უბედური შემთხვევებით გამოწვეული ზარალი გავლენას ახდენს როგორც ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საფინანსო მდგომარეობაზე, ასევე მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის შემოღებით კი მნიშვნელოვნად იზრდება დაზღვევის გადასახდელთა განაკვეთების ოდენობა, რაც ამ წესით ქონების დაზღვევისაგან კოლმეურნეობების თავის არიდების საფუძველი გახდება.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შეჩერდეს „სსრ კავშირში კომპერაციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა

სამინისტროს, სახელმწიფო დაზღვევის გამგეობისა და რე-სპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი.

დადგენილება : „სსრ კავშირში კოოპერაციების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების საქართველოს რესპუბლიკის ტერი-ტორიაზე შეჩერების თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რეს-პუბლიკა. - 1991. – 31 იანვარი. – №21 (41). – 1 გვ.

## გასწორება

„სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების საქართველოს რესპუბ-ლიკის ტერიტორიაზე შეჩერების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 30 იანვრის დადგენილების პირველი მუხლი უნდა იკითხებოდეს:

1. შეჩერდეს „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება საქართ-ველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლმეურნეობათა ქონების ნებაყოფლობით დაზღვევის ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 1 თებერვალი. – №22 (42). – 1 გვ.

## **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება**

### **3. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ორადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**

გათავისუფლდეს ვაჟა გიორგის ძე ლორთქიფანიძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.**

**თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.**

**დადგენილება :** ვ. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 31 იანვარი. - №21 (41). – 1 გვ.

# საიპარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მნვავე კრიზისის პირობებში. უმძიმესი მდგომარეობაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი აგრარულ სექტორში. აღნიშნული განაპირობა საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა. ხელისუფლების კრიზისმა, საყოველთაოდ გამეფებულმა უკონტროლობამ, სხვადასხვა რანგის ზოგიერთ ხელმძღვანელთა მხრიდან განუკითხაობის ატმოსფეროს შექმნამ. ბოლო დროს ამას დაემატა წინასაარჩევნო შეხვედრებში დეპუტატობის ზოგიერთი კანდიდატის მიერ ნაჩქარევად გაკეთებული განცხადებები კერძო საკუთრებაში მინის დაუყოვნებლივ გადაცემის თაობაზე, ზოგან თქმულის არასწორად გაგება და რიგი სხვა ფაქტორები.**

ზოგიერთმა სამეურნეო ხელმძღვანელმა დაიწყო სოფლის მეურნეობის ძირითადი საშუალებების ყოვლად გაუმართლებელი და თვითონებური განაწილება. მოსახლეობის გარკვეულმა ჯგუფებმა დაიტაცა მიწა, ტექნიკა, პირუტყვი დ მოსავლის გარკვეული ნაწილი. ზოგმა კი საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლისა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის მოლოდინში მიატოვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. აღნიშნულის გამო რესუბლიკის ზოგიერთ რეგიონში ჩაიშალა საშემოდგომო სამუშაოები და თუ ასე გაგრძელდა, იგივე ბედი ეწევა საგაზაფხულო სამუშაოებსაც, რაც რეალურ საფრთხეს შეუქმდის.

ნის არა მარტო მიმდინარე, არამედ მომდევნო წლების მოსავალსაც. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია პროცესების თვითდინებაზე მიშვება. საჭიროა შეწყდეს სახელმწიფო ქონების დანაწილება-დატაცება, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს მიტაცებული ქონება კანონიერ მფლობელს. აღიკვეთოს საზოგადოებრივი მეურნეობების თვითნებურად დაშლის პროცესი და უზრუნველვყოთ საგაზაფხულო სამუშაოების დროული დაწყება, მისი ჩატარება, პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრება.

კოლმეურნეობა უნდა შეცვალოს სასოფლო კოოპერაციამ და გლეხთა მეურნეობამ, ხოლო საბჭოთა მეურნეობა - საზოგადოებრივმა მეურნეობამ. დაიშლება მხოლოდ არარენტაბელური მეურნეობები.

მიწის საკითხი საქართველოს მომავლისათვის სასიცოცხლო საკითხია, რომლის გადაწყვეტასთან დაკავშირებულია უამრავი სხვა პრობლემის მოგვარება. ამავე დროს, შეგნებული გვაქვს, თუ რა დიდი ყურადღებით და ინტერესით ელოდება მის გადაწყვეტას ქართველი ხალხი, განსაკუთრებით სოფლის მშრომელები. რომ არ განმეორდეს ის უარყოფითი პროცესები, რაც მოჰყვა ბოლშევიკების მიერ მიწის საკითხის ნაუცბათევ და ზერელე გადაწყვეტას - აჩქარება დაუშვებელია. საჭიროა შეიქმნას სოფლად ისეთი ურთიერთობები, რომლებიც იქნება სტაბილური, სამართლიანი და ქვეყნისათვის სასიკეთო სიახლის მომტანი.

უზენაეს საბჭოს მომზადებული აქვს ამ სფეროში საკანონმდებლო აქტების პროექტები, მათ შორის ალტერნატიული ვარიანტებიც. მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმების შემოღებასთან ერთად მუშავდება მიწების ნაწილის საეკლესიო საკუთრებაში გადაცემის (დაბრუნების) საკითხიც. ისინი იმ დონეზეა დამუშავებული, რომ მათი მიღება ახლავე შეიძლება, მაგრამ ვთვლით, რომ უმჯობესია, მათზე მუშაობა კვლავ გაგრძელდეს. ამ მიზნით ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს ცნობილ მეცნიერებთან, პრაქტიკოსებთან, საქართველოს თუ უცხოეთის წარმომადგენლებთან. ეს მუშაობა სისტემატურად მინდინარეობს და უახლოეს ხანში პროექტებს ეტაპობრივად გამოვიტანთ

გამსახილველად. მანამდე, სამეურნეო ურთიერთობათა მო-  
საწერიგებლად ყველაზე ოპტიმალურ ფორმად მიგვაჩნია  
მიწის იჯარა, უპირატესად სანარდო იჯარა. უზენაესი  
საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საქა-  
რთველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სასწრაფოდ  
მიეღო დადგენილება სოფლად საიჯარო ურთიერთობების  
სრულყოფის თაობაზე. გათვალისწინებულ ღონისძიებები  
ჩაიდება ისეთი მექანიზმი, რომელმაც უნდა დააინტერესოს  
მოიჯარე-მწარმოებელი, მკაცრად განისაზღვროს ურთ-  
იერთვალდებულებათა შესრულება. მიმდინარე სამეურნეო  
წელს რესპუბლიკაში აუცილებელია ჩატარდეს მიწების, სა-  
სოფლო-სამეურნეო ტექნიკის, პირუტყვის, მრავალწლიანი  
ნარგავების, შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაცია. ზე-  
მოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხვალინდე-  
ლი დღის ხედვაში აუცილებელი ეტაპია. ის უნდა გახდეს  
უახლოეს მომავალში სოფლად თვისობრივად ახალ სამეურ-  
ნეო ურთიერთობებზე გადასვლის მყარი საფეხური.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღ-  
დგენის ამ ეტაპზე მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული  
დადგენილება იქნება მოსახლეობის სურსათით უზრუნვე-  
ლყოფისა და საკავშირო თუ საერთაშორისო ეკონომიკურ  
ვალდებულებათა შესრულების საიმედო გარანტი.

საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქა-  
რთველოს რესპუბლიკა. - 1991. – 31 იანვარი. – №21 (41). – 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად  
და დამნაშავეობასთან პრძოლაში  
მიღიცისა და სსრ კავშირის შეიარაღებული  
ძალების ქვედანაყოფების  
ურთიერთმოქმედების შესახებ“  
სსრ კავშირის პრეზიდენტის  
პრძანებულების მოქმედების შემსრულების  
თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხ-  
ლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი  
საბჭო ადგენს:

3. შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორი-  
აზე „მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად და დამ-  
ნაშავეობასთან ბრძოლაში მიღიცისა და სსრ კავშირის  
შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ურთიერთმოქ-  
მედების შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის  
29 იანვრის ბრძანებულების მოქმედება.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინ-  
ისტრომ არ დაუშვას ეროვნული მიღიცის მუშაკთა მონაწ-  
ილეობა პატრულირებაში საბჭოთა არმიის სამხედრო მო-  
სამსახურეებთან ერთად.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი.

დადგენილება : „მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად და დამ-  
ნაშავეობასთან ბრძოლაში მიღიცისა და სსრ კავშირის შეიარაღებული  
ძალების ქვედანაყოფების ურთიერთმოქმედების შესახებ“ სსრ კავშირის  
პრეზიდენტის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების თაობაზე / გამსახურ-  
დია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 31 იანვარი. - №21 (41). – 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დეპულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენის:**

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულება“ მიღებულ იქნეს ცნობად.

6. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს დააჩქარონ საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონის შემუშავება.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 31 იანვარი. - №21 (41). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

“საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების  
ადგილობრივი ორგანოების - საპრეზიდენტის  
არჩევნების შესახებ  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
სამოქადაგ შემოღებისა  
და საპრეზიდენტის არჩევნების  
დანიშვნის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.
2. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოების არჩევნები 1991 წლის 3 მარტის ნაცვლად დაინიშნოს 31 მარტს.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებისა და საკრებულოების არჩევნების დაწილების თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 31 იანვარი. - №21 (41). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულთა არჩევნების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 72-ე მუხლისა და „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ჩატარდეს საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულთა არჩევნები 1991 წლის თებერვალ-მარტში.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს მიიღონ შესაბამისი დადგენილებები მსაჯულების არჩევნებთან დაკავშირებით.

3. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეიმუშაონ შესაბამისი ლონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

**დადგენილება :** საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულთა არჩევნების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 1 თებერვალი. - №22 (42). - 1 გვ.

# საქართველოს რესაუგლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესაუგლიკიაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 72-ე მუხლისა და „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

4. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები დაინიშნონ 1991 წლის თებერვალ-მარტში.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს ამ დადგენილების საფუძველზე დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის ვადა.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ჩატაროს შესაბამის მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევად და წარსადგენად.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.  
თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 1 თებერვალი. - №22 (42). - 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი 11 წევრის შემადგენლობით:

#### პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

მინდია გურამის ძე უგრეხელიძე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

#### პრეზიდიუმის წევრები:

ვაჟა ბორისის ძე აბაკელია - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჯიმი კონსტანტინეს ძე ყიფიანი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჯამლეთ გიორგის ძე ბაბილაშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ორდე სარდიონის ძე ბებია - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

გურამ სიმონის ძე ლილუაშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ივანე შალვას ძე უორდანია - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

**ადელინა ივანეს ასული ხონიაკინა -საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.**

**ალექსანდრე არსენის ძე ღულუნიშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.**

**თამარ სოლომონის ასული ყრუაშვილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.**

**საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.**

**თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.**

**დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 1 თებერვალი. – №22 (42). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილებისა და წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებად:

გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი

ჯიმი კოსტანტინეს ძე ყიფიანი

2. არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებად:

ალექსანდრე ვახტანგია ძე ალადაშვილი, ჯამლეთ გორგის ძე ბაბილაშვილი, თეიმურაზ ბესარიონის ძე ბაქრაძე, გივი ივანეს ძე ბახტაძე, ორდე სარდიონის ძე ბებია, კარლო როსტომის ძე ბზიშვილი, ლენგერ ამბროსის ძე ბოჭორიშვილი, მადონა ტიტეს ასული გოგელია, მურთაზ არჩილის ძე გულედანი, მირზა ამირანის ძე დოლიძე, ვალერიან ალექსანდრეს ძე ედიშერაშვილი, ვახტანგ ვალერიანის ძე თორდია, კურბან ჰასანის ძე ისაევი, ლამარა პარმენის ასული ისაკაძე, ჯემალ ლევანის ძე ლეონიძე, გურამ სამსონის ძე ლილუაშვილი, ივანე შალვას ძე უორდანია, ლეონიდე მიხეილის ძე საყვარელიძე, ვალერიან ივანეს ძე საძაგლიშვილი, იური ჰავლეს ძე ტაბუცაძე, იური ილიას ძე ტყეშელაშვილი, მზექალა ბენინიკას ასული ქარსელაძე, ლეილა სერგოს ასული ქაჯაია, ალექსანდრე არსენის ძე ღუღუნიშვილი, თამარ სოლომონის ასული ყრუაშვილი, რუსუდან აგაბოს ასული შველიძე, გიორგი ბულიას ძე ხაბულიანი, დარიკო ავთანდილის ასული ხელაია, რამაზ ვასილის ძე ხმალაძე, ადელინა ივანეს ასული ხონიაკინა, ვალერიან თენგიზის ძე ხრუსტალი, რამაზ არჩილის ძე ხუნწარია, ჯუდუ ვარდენის ძე წაქა-

ძე, ნოე ალექსის ძე წიქორიძე, ავთანდილ ვლადიმერის ძე წულუკიანი, თამარ ჭიჭიკოს ასული ჩიქოვანი, გივი სტეფანეს ძე ცირამუა, ჯემალ შალვას ძე ცისკარიშვილი, ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე.

3. „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლოს წყობილების შესახებ“ კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულების არჩევა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 1991 წლის მარტის სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

დადგენილება : საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების არჩევის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 1 თებერვალი. - №22 (42). - 1 გვ.

